

2021-2027 წწ

სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზი

2021 წლის 14 ივნისს დამტკიცდა ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2027 წწ). გეგმის განახლების საფუძველი იყო სასწავლებლის საქმიანობის მიმართულებების შეცვლა, კერძოდ ბუსს ანრის შეუწყდა უსდ-ს ავტორიზაცია და ჩამოყალიბდა როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი.

ბუსს ანრის სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს სასწავლებლის 2021-2027 წლების განმავლობაში სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და მიდგომებს, წარმოაჩენს სასწავლებლის განვითარების შესაძლებლობებს, არსებულ გამოწვევებს და მათი დაძლევის მექანიზმებს. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება, როგორც ფაქტობრივ მონაცემებს, მტკიცებულებებსა და კვლევების შედეგებს, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საზოგადოების ჩართულობით თვითშეფასების შედეგებს. მისიისა და ხედვის საფუძველზე, სასწავლებლის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, SWOT ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საკითხების გადასაწყვეტად განისაზღვრა განვითარების პრიორიტეტული მიზნები და სტრატეგიული ამოცანები. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები სრულად პასუხობს სასწავლებლის SWOT ანალიზის შედეგად გამოკვეთილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, საფრთხეებსა და შესაძლებლობებს.

მისიისა და ხედვის საფუძველზე, სასწავლებლის წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, SWOT ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საკითხების გადასაწყვეტად განისაზღვრა განვითარების 7 პრიორიტეტული მიზანი, 15 სტრატეგიული ამოცანა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორი, პასუხისმგებელი პირ(ებ), შესრულების სტატუსი.

მიზანი 1: ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის განვითარება

აღსანიშნავია, დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის განვითარებაა, აქტიურად ზრუნავს და მხარს უჭერს დასაქმებულებს პროფესიულ განვითარებაში. სასწავლებელი აფინანსებს დასაქმებულის მაგისტრატურის სწავლის საფასურს. ასევე სასწავლებლის დაფინანსებით სამმა თანამშრომელმა - რუსუდან დიასამიძე - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მონიკა დიასამიძე - ადამიანური რესურსების სპეციალისტი (სტაჟიორი)

ვლადიმერ ბოგდანოვი - მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ხარისხის სპეციალისტი Russian Register Academy "ISO 9001:2015 "ხარისხის მენეჯმენტის სისტემები. მოთხოვნები. ძირითადი ცვლილებები"

ასევე 2021 წლის 10-11 ივლისს საერთაშორისო გაყიდვების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „მოლაპარაკება და მართვა“ ბუსს ანრის დაფინანსებით გაიარა ოთხმა თანამშრომელმა:

(რუსუდან დიასამიძე - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ლია ფარტენაძე - განათლების ხარისხის სპეციალისტი

მაია დავითიანი - სასწავლო პროცესის სპეციალისტი

ნათია დიასამიძე - ადამიანური რესურსების მენეჯერი)

2021 წლის 16 ივნისს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის საქართველოს პროფესიული კონსულტირების ასოციაციის მიერ გაიმართა ტრენინგი: "სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტუდენტთა მოტივაცია."

საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განახლდა პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები, კერძოდ გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია და საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია, ორივე პროგრამის ფარგლებში სწავლის ხანგრძლივობა 18 თვე შემცირდა 14 თვემდე, შესაბამისად

შეიცვალა სასწავლო გეგმა. ასევე მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრში განახლდა 3 პროგრამა; რეალირება მიიღო 18 პროგრამამ; **ცვლილება შეტანილია 14 პროგრამაში**; შემუშავდა 1 ახალი პროგრამა. ასევე ჩატარდა პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა, გაკეთდა კმაყოფილების კვლევის ანალიზი, მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორთა და მსმენელთა კმაყოფილების კვლევა და მათი ანალიზი და ინსტრუქტორთა საჭიროების დადგენა, კურსის განვითარებისა და სრულყოფისათვის.

მიზანი 2: განათლების და წვრთნის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება

ბუსსს ანრი ზრუნავს როგორც დარგის, ისე პროფესიის განვითარებასა და პოპულარიზაციაზე, ახორციელებს ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია მეზღვაურთა, რეგიონისა და ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროფესიის პოპულარიზაციაზე. წარმატებით მუშაობს სასწავლებელში არსებული ელექტრონული ბაზა ონლაინ სწავლებისთვის, როგორც პროფესიულ მოდულურ პროგრამებზე, ასევე მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის პროგრამებზე. ასევე ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მეზღვაურთა წვრთნისა და სერთიფიცირების ცენტრის ინსტრუქტორებმა თავიანთი პროგრამის ფარგლებში ჩატარა პრეზენტაციები, სასწავლო პროცესის მენეჯერმა ჩატარა სამუშაო შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. საზღვაო სასწავლებელს მიაჩნია, რომ საზღვაო ფლოტის განვითარებით მნიშვნელოვნად განვითარდება როგორც ქალაქი, ასევე რეგიონი და მთლიანად ქვეყანა.

მიზანი 3: პროფესიული სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერი გარემოს განვითარება და მათი უფლებების დაცვა

ბათუმის უმაღლეს საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი აქტიურად ჩართულია პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის მხარდაჭერის ღონისძიებებში, რისთვისაც გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორის, სოციალურ, კულტურულ, გარემოსდაცვით აქტივობებს და ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებს. თუმცა პანდემიამ ხელი შეუშალა რიგი დაგეგმილი ღონისძიების განხორციელებას, ვერ მოეწყო სხვადასხვა გასვლითი ღონისძიება, ექსკურსიები.

ასევე აღსანიშნავია მხარდაჭერა სოციალურად პროფესიული სტუდენტებისთვის, ბუსსს ანრის პროფესიულ სტუდენტებს მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში უკეთდებათ სოლიდური ფასდაკლება. სასწავლებელში მოწყობილია სტუდენტური სივრცე, სისტემატიურად მიმდინარეობს სერვისების გაუმჯობესება, ავტორიზაციის წყვეტის გამო ვერ მოხწერხდა საჯარო ლექციების ჩატარება. თუმცა საჯარო ლექციების ორგანიზება მოხდება ახალი მიღებისთვის. სტუდენტური სერვისების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობისთვის ბუსსს ანრის 2021 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია **30 000** ლარი.

სასწავლებელი ზრუნავს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა განვითარებაზე და შესაბამისად სასწავლებლის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის მხრიდან სასწავლებლის მასშტაბით მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც სამომავლო პერსპექტივაში კვლავ მზარდი და თანამედროვე დატვირთვის იქნება. სასწავლებელი მხარს უჭერს პროფესიულ სტუდენტთა აქტივობებს, მათ ჩართულობას სასწავლებელში და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებში, სასწავლებელი ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივებს.

მიზანი 4: ორგანიზაციული განვითარება

სასწავლებლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას და მიზნისა და ამოცანის შესრულებას. სასწავლებელი უწყვეტად ზრუნავს მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე, ასევე ადამიანური, ფინანსური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების განვითარებაზე, ეტაპობრივად მიმდინარეობს შენობის კაპიტალური რემონტი, გაკეთდა და მოეწყო უცხო ენის (ლინგვაფონის) კაბინეტი, მოეწყო დამატებითი კომპიუტერული კლასი.

მიზანი 5: პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმა, რომელსაც ყოველი პროგრამის დასრულებისას ავსებს პროგრამის ხელმძღვანელები და წარუდგენს ხარისხის სამსახურს. თუმცა ვერ ჩატარდა დაწესებულების მიერ დაგეგმილი შრომის ბაზრის კვლევა, ვინაიდან არც ერთმა პარტნიორმა ორგანიზაციამ არ მოგვაწოდა სტატისტიკური ინფორმაცია.

მიზანი 6: პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის გაუმჯობესება

პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტის სრულყოფილად ჩატარების მიზნით, ასევე წვრთნების ჩატარების მიზნით 2021 წელს კაპიტარულად გარემონტდა სასწავლებლის მფლობელობაში მყოფი სასწავლო საწვრთნელი გემი კაპიტანი ო. ჩახვაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ რეაგტორიზაციის პირობებში განახლდა ხელშეკრულებები. დამსაქმებლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრები.

მიზანი 7: მეზღვაურთა საწვრთნელი ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება

როგორც უკვე აღვნიშნეთ სასწავლებელი მუდმივად ზრუნავს სასწავლო და საწვრთნელი პროცესის განვითარებაზე. 2021 წელს განახლდა **ETM** ტრენაჟერი. გამოცდები მიმდინარეობს ელ.მოდულის გამოყენებით. ჩვენს მიერ შემუშავებული ტესტები გადაიხედა და გადაეგზავნა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ელექტრონულ მოდულში ასატვირთად. ყველა მოქმედ ინსტრუქტორს გავლილი აქვს ყველა აუცილებელი ტრენინგი, ასევე დაწესებულება აფინანსებს ინსტრუქტორების პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას რომ მიუხედავად ბევრი სირთულისა, (რთული ეპიდემიოლოგიური ვითარება და ავტორიზაციის წყვეტა რამდენიმე თვით) დაწესებულებამ

დაგეგმილი ღონისძიებების უდიდესი ნაწილი შეასრულა. დაწესებულებას აქვს წინსვლის, განვითარების, სიახლეების დანერგვის პოტენციალი.